



დაფინანსებულია ENPARD-ის მიერ
- ევროკავშირის პროგრამა
სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარებისთვის



Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION


თხილი

— ინფორმაცია —

მსოფლიოში თხილის მწარმოებლებს შორის საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. FAO-ს 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში თხილის მოსავალი იყო 859 ათასი ტონა, ხოლო თხილის მოწინავე მწარმოებელთა ხუთეული კი ასე გამოიყურებოდა: თურქეთი (64%), იტალია (13%), აშშ (4,7%), საქართველო (4,6%), აზერბაიჯანი (3,6%) (მრავივი 1). როგორც ცალკეული კომპანია, „ფერერო“ ყველაზე მსხვილი თხილის გადამამუშავებელია მსოფლიოში. იგი თხილს იყენებს ისეთ ცნობილ შოკოლადის სახეობებში, როგორიცაა „როშე“ და „ნუტელა“. ამ კომპანიას პლანტაციები საქართველოშიც ეკუთვნის, კერძოდ კი სამეგრელოში.

მრავია 1. თხილის წარმოება მსოფლიოში

თხილის მოსავლის პროცენტული მადანაწილება ქვეყნებში შორის, 2013




წყარო: FAO

თხილის წარმოებას საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს მთლიანმა წარმოებამ 37,4 ათასი ტონა თხილი შეადგინა. საქართველოში თხილის მნარმოებელი ძირითადი რეგიონებია: სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და იმერეთი (გრაფიკი 2). სხვა რეგიონებიდან აღსანიშნავია აჭარა და კახეთი, სადაც პლანტაციების რაოდენობა საკმაოდ მზარდია. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ოფისის 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, თხილის საშუალო მოსავლიანობა საქართველოს რეგიონების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 1,3-დან 3 ტონამდე ერთ ჰექტარზე, ყველაზე მაღალი მოსავლიანობით კი კახეთი გამოიჩინება, ნაყოფიერი მიწების გამო. შედარებისათვის, მსოფლიოს წამყვანი თხილის მნარმოებელი ქვეყნების მოსავლიანობაც ამ ნიშნულებში მერყეობს, განსხვავება ის არის, რომ იქ სტანდარტული თხილი მოდის და ნაჟუჟიანი თხილიდან საექსპორტო (მაღალი ხარისხის) თხილის გულის გამოსავლიანობა მაღალია (45-50%), ვიდრე საქართველოში (40%-მდე).

მრავალი 2. თხილის წარმოებას საქართველოში, რეგიონების მიხედვით

(2006 - 2014)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური




თხილის ექსპორტი

ბოლო ათეული წლის განმავლობაში, საქართველოდან ექსპორტირებულ აგრარულ პროდუქტებში, თხილი მონინავე ადგილზეა. მარტი 2015 წელს, თხილს აგრარული პროდუქტების ექსპორტში 29% ეკავა. ხოლო ქვეყნიდან მთლიან ექსპორტში კი 8%. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან უმეტესად თხილის გული გადის (98%). ქართული თხილის მონინავე საექსპორტო ბაზები ასე გამოიყრება: გერმანია (\$48 მილიონი), იტალია (\$43 მილიონი), ესპანეთი (\$12 მილიონი) და ჩეხეთი (\$10 მილიონი).

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტირებული თხილის მოცულობა (ტონებში) და ლირებულება (დოლარებში) მოცემულია გრაფიკზე (გრაფიკი 3).

თხილის ეპსპონტირებული საქართველოდან



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015



თხილის ფასი საქართველოში


წვრილი ფერმერები, რომლებიც საოჯახო მეურნეობების სახით არიან ძირითადად წარმოდგენილნი საქართველოში, ყიდიან ნაჭუჭიან თხილს, როგორც წესი შემგროვებელზე ან პირდაპირ გადამამუშავებელ კომპანიაზე. შემდეგ ეს კომპანია ახდენს თხილის გაშრობას, გატეხვას, თხილის გულის დაკალიბრებას, გარჩევას და შემდგომ უკვე თხილის გული ექსპორტიორების საშუალებით გადის საზღვარგარეთ.

ნაჭუჭიანი თხილისა და ექსპორტზე გატანილი თხილის გულის საშუალო ფასები ბოლო 13 თვის განმავლობაში მოცემულია ქვემდა გრაფიკზე (გრაფიკი 4).

მრავილი 4. ნაჟუჭიანი თხილისა და თხილის გულის ფასების დინამიკა

თხილისა და თხილის გულის ფასების დინამიკა (ლარი/კგ)

ლარი



ნუარო: სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემები




აღსანიშნავია, რომ ნაჟუჭიანი თხილიდან საექსპორტოდ ვარგისი თხილის გულის მისაღებად საჭიროა 2,5-3 კილოგრამი თხილი. რამდენადაც თხილის მთავარი შიდა ბაზარი არის სამეგრელოს რეგიონი, ჩვენს მონაცემებზე დაყრდნობით, თხილი სამეგრელოში დაახლოებით 5%-ით მეტი ღირს, მთლიანი საქართველოს საშუალო ფასთან შედარებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხილის ბაზარზე ფასს თურქეთი აწესებს. ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს საქართველოდან და თურქეთიდან ექსპორტირებული თხილის გულის საშუალო ფასებს თვეების მიხედვით, 2008 წლის იანვრიდან 2016 წლის მარტის ჩათვლით. როგორც ვხედავთ თურქეთის ფასი უფრო მეტია საქართველოს ფასზე, რაც ძირითადად განპირობებულია თურქეთის თხილის შედარებით მაღალი ხარისხით. 2014 წელს თურქეთმა თხილის ცუდი მოსავალი მიიღო, რამაც გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასის თითქმის გაორმაგება, თუმცა დღეს ფასი უკვე თითქმის ძველ ნიშნულს დაუბრუნდა, რაც გრაფიკზეც კარგად ჩანს (გრაფიკი 5).

მრავილი 5. თურქეთიდან და საქართველოდან ექსპორტირებული თხილის გულის ფასების შედარება

თურქეთი VS. საქართველო

ექსპორტირებული 1 კგ თხილის გულის ფასი (სშშ დოლარში)



წყარო: Trade Map (ITC)

— თურქეთი — საქართველო

რა გავლენა მოახდინა ლარის გაუფასურებამ საქართველოს თხილის ექსპორტზე?

როგორც ვიცით, 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის თებერვლის ჩათვლით ლარი დოლართან მიმართებაში თითქმის 40%-ით გაუფასურდა (1,75-დან 2,45-დან). ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია, როდესაც ქვეყნის ვალუტა უფასურდება, ეს ფაქტი ამ ქვეყნის ექსპორტზე დადებითად აისახება. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მოცემულ პერიოდში საქართველოს თხილის ექსპორტმა მარტო ლარის გაუფასურებით 110 მილიონ ლარზე მეტის სარგებელი მიიღო (ინფლაციის გათვალისწინებით).